



თეატრი



საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

№ 41

საყოველ-კვირბო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი.

№ 41

12 ღვინობისთვის

გამოიცემა ყოველ კვირბო

1886 წელს.

უხსი გაზეთი „თეატრი“-სა
ერთის წლით... 5 მან. X სსხვეარ წლით... 3 მან.
სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება:
თბილისში რედაქც. კანტორაში ან წარუხსიეულ ქარვას.
უფოთში ბ-ნი ბესარიონ კალახაძესთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისყიდება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპი-
როზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში: ქილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექცონდენციები, ლექსები და
სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა
შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ
ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კის-
რულობს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ
სტატიები გარჩევიით ეყენენ დაწერილნი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტო-
რის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея быв. Арцруни № 110.

ქართული თეატრი

დღეს ქართული დრამ. დასისავან წარმოდგე-

ნილი იქნება:

I

ბაქიაბუქი

გომედაი 2 მოქმედ. გამდმ.გნ. ანასტ. თუმანიშვილისავან

II

დროებითი სიკვარული.

გომედაი 2 მოქმედ. გადმკ. თავ. დ. ერისთავისავან
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ-ნინ. გაბუნია-ცაგარდო-
სა, მ. მ. საფაროვ-ახაშიძისა, მ. მინაროვისა, კ. მე-
დიქოვისა, ბ-ნი ახაშიძე, მესხიევი, აწუურელი, ცაგარე-
ლი და სხვ.

დასაწყისი სწორეთ 7 1/2 საათზე.

ქართული თეატრი

კვირას, ხუთს ღვინობი თვე, ქართული დრამა-
ტიული საზოგადოების დასმა წარმოადგინა ა. ცაგა-
რელის ერთ მოქმედებიანი ვოდვეილი „ოინბაზი“ და
ოსტროვსკისა და სოლ. ვიოვის სამ-მოქმედებიანი კო-
მედია „ბედნიერი დღე“. „ოინბაზი“, როგორც
თფილისის საზოგადოებას, ისე პროვინციელებსაც კი,
ხშირად უნახავთ დახელოვნებული მოთამაშენი ბ.
ახაშიძე და ქ. საფაროვ-ახაშიძისა. ამ პიესაში ამთ
მნახველს სხვა ძვირად მოეწონება. ეს არტიტები ისე
მკვირცხლად, სიცოცხლიანად და მახერხებულად
თამაშობენ, რომ მაყურებელს უჭირდება პიესის აზ-
რის მიმდინარეობის თვალ-ყურის დევნება. ამ ნაი-
რი თამაში აუცილებელი საჭიროა ამისთანა უბრალო
და მარტივ-მინარსიან ვოდვეილებში. ახალ-გაზდა
ადეოკატის როლს ალექსეევ-მესხიევი ასრულებდა. ამი-



ეროვნული
საბჭო

თანა როლებში ეს არტისტი სუსტია; და ახლაც სუსტობდა. როლის უცოდინარობაც ეტყობოდა. მისი ცოლის როლში ქალ. მელიქოვისა მეტად მოუხერხებელი და უმოძრავო რამ იყო. ქართულის ცოდნაში და სიტყვების გამოთქმაში კოჭლობდა; არც შიში და არც სხარული სახეზე გამოარკვევით არ აჩნდებოდა, ხოლო სიცილი ნამდვილად მოუვიდა. თუ რომ პრიკაზნიკის როლში ბ. აწყურელის ხელოვნურსა და მკვირცხლ თამაშს არა, მაყურებელნი ძილს მიეცემოდნენ. ამ უკანასკნელმა ჩინებულად გაატარა მთელი თავისი როლი.

„ოინბაზით“ მოწყენილი საზოგადოება „ბედნიერი დღის“ ცქერამ გაამხიარულა. ფარდა აიხდა. სცენაზე სავარძელში ზის ღრმა მოხუცი ფოსტის უფროსი (ბ. გუნია), ხელში გაზეთი უჭერია, გრძელ-ღერიანი ჩიბუხი სტოლზე უძევს; თან კითხულობს და ქართაში ევროპის სხვა-და-სხვა ქალაქებს ეძება, თან ეწევა ჩიბუხს. პოლიტიკაშია გართობილი. მთელი მისი ფიქრი და აზრი ამ საგანს გარდუყუდაპავს. ახირებული და უჭკუო რამ არის. შემოდის მისი მეუღლე, ქ. გაბუნია-ცაგარლისა (ისიც მოხუცია, მაგრამ ჯერ მეტად ცოცხალი, მოხერხებული და თავიანი დედა-კაცი. მთელი ოჯახის და ქმრის სამსახურის საქმეებიც კი მის ქედზედა ძევს. ამათ ჰყავსთ ორი გასათხოვარი ქალი. პირველი (ქ. ჩერქეზიშვილისა) უსიცოცხლო, მძინარა, უპირისწყლო და საცოდავი ქმნილებია. მეორე კი (ქ. საფაროვ-აბაშიძისა) სიცოცხლიანი, მკვირცხლი, დადი-მანდი, სწორეთ მოჭიკ-ჭიკე მერცხალია; მოხერხებულობაში და ეშმაკობაში დედის სიმცბიერე ეტყობა. ჰყავთ ეგრეთვე ერთი ნაცნობი ექიმი: (ბ. აღექსევე-მესხივეი). ფოსტის უფროსის ცოლი ცდილობს თვისი პირველი ქალი ამას შერთოს. ესეც უდროოდ დაბრძნებული, დაბერებული და ლაყე ვინმე.—რევიზორი, მათი აღმატებულება (ბ. აბაშიძე) მოდის ფოსტის საქმეთა განსახილველად. მას ახლავს ახლგაზდა ჩინოვნიკი (ბ. აწყურელი ფოსტის მოსამსახურენი შახედებიან და უმეღავენებენ მათის უფროსისაგან ჩადენილს უწესოებას, მისი ჩიბუხის ღერით დამტყრეულ თავ-პირს აჩვენებენ. ფოსტის უფროსის ცოლი საშინელ დღეს მოედის; ქმარს ჩასძახის, თავდარიგი დაიჭირო, დაღუბვის დღე მოწვენილიაო, მაგრამ მას არა ესმის რა. პოლიტიკაშია გართობილი. ცოლს ყველა იმედები უქრება ერთად. ერთი იმედი თავის უმცროსი ქალისაგან-ლა აქვს, რომელსაც შეუძლია თავის ხერხითა და სილამაზით ღენერადი მოხიბლოს და მათზე გული მოუბრუნოს. ყმაწვილი ქალი ჯერ ჩი-

ნოენიკს (ბ. ბწყურელს) ელაქუცება. გაუსინჯავად დააყრევინოს, ესაც მზად არის ყველაფერს თავი დანებოს, მაგრამ უფროსის ეშინია. ყურმოჭრილი მონაა თავის პატრონისა. შემოდის ღენერალი. ყველას შიშის ზარი თავს ეცემა.—ფოსტის უფროსს მკაცრად ექცევა. ბოლოს მარტო უმცროსი ქალი და ღენარალი რჩებიან ერთად. ქალი თავის კეკ უცისა და ეშმაკურის ქცევით მოხუც რევიზორს გულს აუფეთქებს, ხიბლავს და მამა-მისისაგან ჩადენილ უწესოებათ სრულიად დააეწეებს. რევიზორი გადასწყვეტს ეს ქალი თავის ჩინოვნიკს შერთოს და შემდეგ თვით ისარგებლოს.—ჩინოვნიკს სტოვებს, რომელიც ქალს სიყვარულს უცხადებს. ქალის დედა აღტაცებაშია. ბოლოს მოხერხებული დედა უფროს ქალსაც მათ ნაცნობ ექიმს რთამს ცოლად და თავის დიდი ხნის განძრახვას ასრულებს. გაბედნიერებული ფოსტის უფროსის ცოლი ქმარს ახარებს ყველა ამას, მაგრამ იგი ძლიერ არ გაჰკვირდება. აქ უჩვეულებრივო არა მომხდარაო. ექიმის დასიძება კი ცოტა არ იყოს, რომ ამხიარულებს. ქვისლები ერთმანეთს გაიცნობენ; დები ერთმანეთს ულოცავენ გაბედნიერებას, ცოლი ამყობს ქმრის წინაშე თავის ქუთთ და მოხერხებულობით და ამით თავდება კომედია.

ამ პიესაში თავ. როლებს ქ. გაბუნია ცაგარლისა და ქ. საფაროვ-აბაშიძისა ასრულებდნენ. ორივემ ხელოვნებით და მოხდენილობით ითამაშეს. ყოველს მათ ზოძრაობაზე მაყურებლების გულიდამ ხან აქ, ხან იქ ნება-უნებურად ისმოდა ამოძახილი: „ყოჩაღ!.. ბარაქალაო!“ ყველა მოთამაშეებმა ჯეროვანად გაატარეს თვისი როლები თავიდამ ბოლომდე. განცვიფრებული მაყურებლების აღტაცებას და «ვამას» ძახილს საზღვარი არ ჰქონდა. სამწუხაროდ ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო და დარწმუნებული ვართ, ვინც კი შეიტყო, ინანებს ამ სასიამოვნო პიესის გამოტოვებას

დასასრულ ბ. აწყურელმა წაიკითხა რამდენიმე კინტოური ლექსი და ქ. საფაროვ-აბაშიძისამ თავისებურის სიმკვირცხლით ითამაშა სცენა-მოწოლოგი „მშვიდობით ოცნება“!

დღეს წარმოდგენილი იქნება კომედია „ბაქი-ბუქი“ გადაკეთ. კნ. ანასტ. თუმანიშვილისაგან და „დროებით სიყვარული“ ვაღმოკ. თ. დ. ერისთავისაგან.

უცნობი.

თეატრის კვირა

აქედამ და შენამდის, ვარდი მასხია ენამდის,
რომ ვინმე გამომიშვებდეს, სიბრძლით მოკვალ შენამდის.

ღამაზმა ქალმა დამწყევლა. სულ შედებიდმა ინითა
ნეტავი იმას შემყარა ზარხელათ ვიუღ ღვინითა

გოგო, გოგო შავ თვალად, ბიჭმა შემოგითვალად;
ან მომეც ჩემი დანაო, ან წამიყვანე თანაო.

ღამაზმა სთქვა: ბნელსა დამეს მე აღარ მინდა ფარანი,
მე ისეთი ბიჭი მინდა შირსა არ ესხას ბაღანი

(შერეობილი ნ. გაბუნია-ცაგარლისაგან)

მე ვიტანჯვი აღაწავარ, აღარა,
შენ ღვინი გაჭკეს, დაფი, ზურნა, ნაღარა,
მე დაგებრდი, თმა შემეჭნა ჭადარა,
ველარვან მტნობს, ცრემლმან ღაწვი დაღარა.

გულს აკვნესებს ტვირთი მძიმე ჭირისა,
სსოვნა არ მაჭკეს მე წარსულის ღვინისა,
შეელა არ სჩანს ჩემის გასაჭირისა,
ვიცი, ვხედავ ჩემებრ არვინ სტირისა!

უხარინ ჩემს ბედს ჩემი წვალება,
შეუბრალოდ ასე ჩემი წამება;
უბედურსა თავა მახეს მამება,
ველარ ავსსენე ბედი ისე დამება.

აღარ სჩანან მეგობარნი, აღარა,
დროს უმწერდნენ, აღარ მტნობენ, აღარა,
შენ ღვინი გაჭკეს დაფი, ზურნა, ნაღარა,
მე სულ ვსტირი, ღვინი არ მსურს, აღარა,

სადღა არის სსოვნა უბედურისა
და ნუგეში ჩემებრ დატანჯულისა,
ვინდა გიგოტუვის მძა ვარ შენის სულსა,
აღამდენი შენის სისარულისა.

შენ ღვინი გაჭკეს დაფი, ზურნა, ნაღარა;
მე ვი ვსტირი, ცრემლმან ღაწვი დაღარა,
აწ დაგებრდი, თმა შემეჭნა ჭადარა,
აღარ მტნობენ მეგობარნი, აღარა!..

ან. ნინო ორბელიანისა.

ბედ-კრული.

(თარგმანი.)

პაპი ჩემის საქმე თან-და-თან უკან წავიდა, ვაჭ-
რობა დეცა, გზები დაიხლართა. ამის მიზეზნი-ჩემი
ახალ-გაზდა ბიძები იყენენ: მამის და უუროსი ძმის
მალვით დაიწყეს მათ ლოთობა, ფულების ფლან-
გვა და ბევრი სხვა საქაგლობაც... საქმეზე გული
აღარა ჰქონდათ. ჯერ სახლი გაეყიდეთ, მერე—ორი
დუქანი,—საქმე მესამეზედ მიდგა. ღვინის წინაშე, არც
არას მამა ჩემი აკლებდა: ვითომ და ჯავრის გასაქარ-
ვებლად, იმანაც ხშირად დაიწყო ღვინის სმა და თი-
თო-ოროლა კვირაობით სახლში არ შემოდოდა.
ოჯახში ჩხუბი და უთანხმოება ჩამოვარდა. საბრა-
ლო დედამ ვეღარ გაუძლო ამ ამბავს, სიკვდილემ თან
გადაიტანა უბედური. დედი ჩემის სიკვდილის შემდეგ
მე ბებია მპატრონობდა. შეილებს ცულმა ქცევამ,
უთანხმოებამ, ჩხუბმა სწორეთ ზეზეური ჯოჯოხეთი
დანახვა საკოდავ ბებია და, იმეკ მოხუცებისაგან
დაწყვეტილს, ავით-მყოფობა დაწყებინა. არ გაუვლია
სამს თვეს, რომ იმანაც დაიკრიბა გულ-ხელი და ამ
წუთის სოფელს გამოესალმა. მისი სიკვდილით ოჯახს
დედა ბოძი მოაკლდა.

ამ უბედურობის შემდეგ ბევრს ხანს აღარ გაუფ-
ლია, რომ ბებიასთან მიჰყენენ: პაპა, მამა ჩემი და სა-
მი ბიძა. მთელი სახლობილამ მხოლოდ მე და უმცრო-
სი ძია-ლა გადავრჩით,—შუათანა საღდაც გადაიხვე-
წა, დღესაც არ ვიციტ ცოცხალია თუ მკვდარი. რაც
დაგერჩა, სამკვიდროდ იმასაც მოვალემა მოუსვენს ხე-
ლი და გაგვიყიდეს, ჩვენც დავრჩით ღვინის ამარა:
უსახლ-კარო, უგროშ-ფულო, ყოველის უნუგეშოდ,
ერთის დღის საგდალიც აღარ მოგვევადებოდა.

რა ვქნათ? რით ვიცხოვროთ? პირველად დავიწყ-
ე ამ მწველ კითხვებზედ ფიქრი, პირველად ვიგოძე-
ნი ჩემი წარსული ცხოვრების სიფუჭე. მემუშანა?
ჰმ... განა საზოგადოთ ქალებს და კერძოდ მე შრო-
მისათვის მაშაღებდნენ? უბედურებამ, დღე-ღამ ფიქ-
რმა ბევრი რამ დამანახვა ნათლად, ამიხილა თვალებ-
ი და მით უფრო გაათავცა ჩემი წამება! ჩვენ, ქალებს
თითქმის დაბადებიდანვე მხოლოდ იმას ჩავგვიჩინებენ,
რომ ცხოვრება ქალისათვის ნეტარების საღაროა, ამ
საღაროს მფლობელია კაცი და ჩვენ მხოლოდ იმას
უნდა ვსცდილობდეთ, რომ ჩვენი თავი ქმარსა...
მის ღონეს, იმის განკარგულებას; რაც შეიძლება უფ-
რო აღრე დავიმორჩილოდ ვიკვებოთ მისის შრომით,
ვსჯდეთ მისის აზრით, ვსცოცხლებდეთ მისის სურვი-

ქართული

ლით. განუღწევოთ, მივატოვოთ ყოველივე, რაც კი გვიჩვენებს ოჯახის მანებელს...

თუ ქალი გონებით, სწავლა-გამოცდილებით მაინც თანასწორობას ვერ გაუწევს კაცს, თუ შრომის სურვილით და სიმბნევით არ არის იგი დაგვიგინებული, მაშინ ვინც უნდა აირჩიოს მან საქმროდ, როგორც უნდა უყვარდეს ეს კაცი, მაინც არ იქნება ბედნიერებას მოკლებული... ქმარი ძალუმი, თითონ უძლური, ერთი ყველაფერში დახელოვნებული და მკოდნე, მეორე თითქმის... გამოუცდელი... არ ვიტყვი მეტად ჭკვიანს და გონება განვითარებულს ქალს, თვით ცოტად შეგნებულისათვისაც კი საკმარისია, რომ ამ გვარმა განსხვავებამ, მუდმივმა ძრწოლამ მის წინაშე, გონებრივ ძალის ქვეშევრდომამ მის მოწმენდილს ცას ღრუბლები მოჭჳნოს. რაც უნდა ავიღოთ, თუნდა ამ გვარი უბრალო საგნები, როგორც სახლის მოვლაა, სარისტის მიცემა, წესის დაცვა, ყოველისფერს სწავლა და მომზადება ეჭირება. დიდ მნიშვნელოვან ქალის მოვალეობაზედ—დედობაზედ აღარას ვიტყვი—თუ სახლის სარისტას სწავლა ეჭირება—სამიხლოდ ხო მთელი თავის სიცოცხლე უნდა ამზადოს კაცმა. თუნდ ამასაც თავი დაეანებოთ, უმეტესს ნაწილს ჩვენ ქალებს იქამდინ გონებით საპყარს როგორ გვხდიან, რომ გაჭირებაში ლუკმის შოვნასაც ვერ ეახერხებთ პატიოსანი შრომით, ე. ი. არ შეგვიძლიან, რადგანაც არაფერი შეგვისწავლია... განა სახლში, ქმართან, ისევ ის უსულო ლეში არ გამოდის ქალი, როდესაც მოკლებულია ცოდნას, გამოცდილებას და გონიერულ შრომას? განა უმეცარს და უძლურს ცოლს შეუძლიან ქმრის მხრის ამოშველება!.. სხვანიც არიან მაზეზნი, მიგრამ უმეტესათ ბრალი მშობლებს მიუძღვით... მაგრამ, უკაცრავად, ჩემი უბედურება ყველგან უბედურებასა ჰხედავს და ამასთანვე თქვენთვის საჭირო არ არის ჩემი ჰაზრის გაგება ამ საგნის შესახებ. დავუბრუნდეთ ისევ ჩემს თავ-გარდასავალს. მეც მაცმევდნენ და მხურავდნენ ჩემი პატრონები იმ იმედით, რომ ოდესმე, სიყრმიდამე გაწერთილი, გავაბამდი ვისმეს სიყვარულის მახეში და მოვაშორებდი ჩემს თავს შესანახად. ცოტ-ცოტა მე ყველაფერი ვიცოდი: წერა-კითხვა, მუსიკა, ხელ საქმე, ფრანკოზული. ენა ერთის სიტყვით ყველა ის, რაც საჭიროა იმ გასათხოვარი «ბარიშნასთვის», რომელიც დიდისა და მდიდარი კაცის საცოლოდ ემზადება და არა იმ ქალისათვის, რომელსაც ხვედრი დღიურის შრომითა და ოფლით კვებას არგუნებდა. საბუთიანად სრულიად არა ვიცოდი რა, რომ ამ გაჭირებაში გა-

მომეყენებინა. თუ კაცს სიყრმიდგანვე... რომ ყველა სულდგმულისათვის საჭიროა შრომა, რომელიც მან ცხოვრების საგნად უნდა გაიხადოს, თუ კაცს ღროზედ არ მოუმზადებია თავი ამ შრომისათვის—,ეიში და სინანული ბოლოს ფუჭი ყოფილა. ჩემს პატრონებს ის ვერ წარმოედგინათ, რომ მე, შესაძლებელი იყო, ოდესმე ჩმისთანა მდგომარეობაში დის მიხელწივა, რომ შრომას ჩემი სიკვდილსიცოცხლის საწორი სჭერებოდა და მეც, სრულის გულითაც რო მდომებოდა ეს ნეტარი შრომა, მაინც ვერ შევიძლებდი. ვის ან რის მანქანა ვიყავი? არავისი და არა ფრისა! ორი გზალა დამრჩენოდა: ან ძალა დამეჭანებინა თავისათვის, შეეჩვეულიყავ უჩვეულებრივო შრომას, ან დევჯერებულებიყავ ბედითს და თითქმის უპატიოსნო ცხოვრებას...

მე, ნებიერს, ლალს და თამამა, რომელსაც სრულიად არა გამეგებოდა—რა გაჭირებისა, ბედის ჩარხის ტრიალმა საშინელ მდგომარეობამდე მიმალწვივინა: ჯერ ბუზღუნი და დაცინვა, მერე-ლანძღვა-გინება, მძიმე შრომა, ხელზედ სამასხური და ხშირად ქიმუნჯებიც—ყველა ეს მოთმინებით უნდა ამეტანა.

გნასი—

სახლხური თქმულებანი.

მოხიცილები ავიდნენ ეთრს გორაკზედა და წისქვილს დაუწყეს კეთება. პატარაძალმა ჯერი მიუტანა და ცარიელი ლიტრა. რომ დასხდნენ სადილად წყალი მოიხნოვეს—პატარაძალმა ცარიელი სურა მიაწოდა. „წყალი რაღა გიქმნიაო?“ დაკითხნენ მოხისელები. „მე საცა წისქვილი მიწახამს, უწყლოთ არ მიწახავსო!“ მიუგო პატარაძალმა. მოხისელები შეიშმუშნენ. „მართლა და უწყლოთ წისქვილი ვის მოუგონიაო?“ მოუჭირეს პატარაძალს თავზედ წნელი: „ეს ჩვენზედ ჭკვიანი ყოფილა და ეგების ჭკუა არსად გაეყაროსო.“

მოხისელებს არზა უნდა მიერთმიათ „ნაჩალიკისთვის“. დააწერინეს, მიაბეს თოკები საძნე ურემზედ, შეაბეს მთელი გუთნეული და რის ვაი-ვაგლახით ცარიელი ურემი მიათრის „ნაჩალიკის“ კარებთან. გამოვიდა „ნაჩალიკი“ და იკითხა „ეს რა ამბავია?“ „პატარაო, არზა მოგართვით, იმდონი სათხოვარი გვაქვს, რომ გუთნეული დაიხოცა იმის ზიდვაშიო“!

469-476 იბ. 896. F 93

ნ ა რ ე ვ ი

✕ ამ თვის 7 ტფილისის სასამართლო პალატა-ში გაარჩიეს საქმე გაზ. „დროების“ რედაქტორად წამყოფის თავ. ივანე მაჩაბლისა და ვირუბოვისა. როგორც მკითხველს უნდა ახსოვდეს, ბ-ნ ვირუბოვი, ოპორტუნისტის მახრის უფროსად წამყოფმა, უჩივლა სასამართლოში თავ. ივ. მაჩაბელს, რომ გაზეთის 140 ლ-ში დაბეჭდილი იყო ფელეტონი და ამ ფელეტონში აწერილი საძრახისი და სათაკილო საქციელი ჩემზედ დაუწერიათო, ამის გამო მე შეურაცხყოფილი შევიქენი გაზეთის მიერო. საქმის გარჩევის დრო: თავ-მჯდომარედ იყო გონჩაროვი. წვერნი იყვნენ მიხაილოვი და ბულატნიკოვი. ამტყუნებდა მაჩაბელს პროკურორის თანაშემწე ბ-ნი სტალინსკი.

თავ. ივ. მაჩაბელს დამცველი არა ჰყავდა და თავის დასაცველად თვითვე სთქვა გასამართლებელი სიტყვა და პალატას რამდენიმე მოსაზრება წარუდგინა იმის თაობაზედ, რომ ხსენებულს ფელეტონში სრულიად არ არის მოხსენებული მომხივარიო და საიღამ იცნო მან თავისი თავი იქ აღწერილი ხოჯაში—ეგ მე ვერ გამიგიაო. ხოჯა შეიძლება სულ სხვა იყოს და არა მაზრის უფროსად წამყოფი ბ-ნი ვირუბოვიო და ბევრი სხვა ამ გვარი საბუთი მოიყვანა. სსსმპრთლმ და მნაშავედ არ იცნო თავ. ივანე მაჩაბელი და სრულიად გაამართლეს ამ საქმის გამო.

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

* *

გამწარდა გონება... გულზედ მეკონება
სუკდა და ჭირი,
და უძმო უტოლოდ სერსედ ვსდგოვარ მხოლოდ
და გულში ვსტირი.
აღაწას მკველი... განჭარწყლდა ყოველი
ჩემთვის ნუგეში!
დარდა ვვლარ ვიშორებ, ვსადგურებ და ვსცხორებ
ტანჯვის უბეში.
ოჰ, იყო ერთი დრო, რაცა ოცნების გრო
მაფრენდა ცაში,
გულში ტვბილს ვკრძნობდი ადს და სამოთხის ფიბლს
ვსკამდი მე მასი.

დღეს ვი წახდა ყველა და შავი ნალექა
გულს მკვამს ნელ-ნელა,
და აწ მოშხამულში ამ ჩემს მკვანესარ სულში
ბნელა და ბნელა!
საბრალდოს და ბედ-შავს გადმეცვა ადრე თავს
ცხორების ბადე:
ჭკუენის სულ-მდაბლობა და მოძმისგან გმობა
მე ერთად ვსცადე!
დავიწდი უდროვოდ და გული საგლოვოდ
ჭკოდებს და ჭკოდებს,
მაგრამ ჩემს გულის თქმას არავინ არ სცემს ხმას,
არავინ იცოდებს.
გრიგალი ვაჭკუნესის, სჩანს, მარტო მას ესმის
ჩემი გოდება!...
ველავ შორს ვიციჩირები, მაგრამ გულს ჭირები
არ ვშეუბან
და ვანუშორები, შავ-ფიჭების გორები
თავს მაწეუბან.
ვისია ნეტავი ეს შავი საფლავი,
ჩემს ჭკუით რომ სჩანს,
და ან სამაგელი იქ ჭია და გველი
ვის საწულ გულს სკვამს?!
გრიგალი იქ ჭვირის, ჭარი მას დასტირის
მწარის ჭკითინით
და მოსთქვამს მდინარე, იქ წყნარ-მომდინარე,
ბუტ-ბუტ-დიდინით...
სამარე, სამარე! შენ მანდ ვინ დამალე
უფსკრულ ჭკუანელში,
შენთან ვინ ისტუმრე და ვინ გაისტუმრე
იმ ჭკუენის ბნელში?!
მაგ განმარტოებულს, ობლად დატოვებულს
აღაგს ვინა სდევს
და მანდე ვაზრდილი, ველური ასკილი
ფესკებს ვისა ჭსკუეს?
კაცია, თუ ჭალი მაგ შენი საწული
მუდმივი მდგომარე,
რომ ჭირი სცემია და არ მისცემია
სამკული მმურე?!
იყო ვინმე დიდი, გმირი და ურიდი
და მკლავ-მლიერი,
თუ ვინმე მთხვარი, აქ საწულად მოარი,
მუდმივი მშიერი?
მოხუცი იყო ეგ და წვალების შემდეგ
მწარედ ჭკნაოდა,
თუ ჭკრეთ ვამწვილი, ვით იის უვავილი,
ახლად ჭკუავოდა?!

სამარე, სამარე! გამეცი ხმა მალე:
 შენში მძინარე
 მოსულა რა მსწიღამ და ან წეკს რა ხნიღამ
 მანდ?... ან ვინ არი?...
 ისმის ხმა სამარის: ,, საბრალო რამ არის
 ჩემი სტუმარი!
 გაუი ჯერ ყმაწვილი, ტყუიით გულ-დაჭრილი
 აქ სდევს მღუმარი.
 ეს სატრფოს ერწმუნა, მაგრამ მან უმტყუნა
 და მიენდო სხვას,
 მით მოჭკლა იმაჲ დღეს და იმ წამს ეჭეთ ეს
 მისცა სეკდის ზღვას!
 დასუსტდა ნელ-ნელა... კვლავ მოინელა
 ამან ის სეკდა!
 ერთხელ აქ მოიქცა და მწარედ დაიდა
 ტყუია გულზედა,
 და მეორე დილას ამაჲ ადგილას
 მკვლარი რა ნახეს,
 ამ მინდვრით გამრუბმა, შორის მსრის მგზავრუბმა
 ეს აქ დამარხეს.
 მას აქეთ ყოველ წელს მოკვლი ამის მკვლელს,
 ამის ბნელს ჩამტანს,
 ვაგრამ ჯერ ის გულ-ჭკა თითქოს ბნელს ჩაინთქა,
 დღემდე აჩსად სჩანს“!..

ცანელი.

სომხური თეატრი

წარსულს ორშაბათს ჩვენ დავესწართ სომხურს წარმოდგენას. თამაშობდნ ალ. დიუმას 4 მოქმედ დრამას „ედმონდ კინს“ ბ-ნი ადამიანის მონაწილეობით.

როგორც ჩვენ, ქართველებს, სომხებსაც ამ წელს დაუარსდა დრამატიული კომიტეტი, რომელსაც უკისრნია დრამატიულის დასის წინ გაძლოლა, მაგრამ საუბედუროდ ჯერ დასი ხეირიანად არც კი შეუდგენიათ. დასის უხეირობა ამკარად ეტყობოდა წარსულ წარმოდგენას, გარდა ბ-ნი ადამიანისა არაეინ არ იყო თავის ადგილზე. გრაფების, გრაფინების და ჰერცოგების მაგიერად რალაც კაცის მსგავსი ავტომატები მი-

მოძრაობდნ სცენაზე. ალაგ-ალაგ გვარიანად თამაშობდა ბ-ნი ავლიანი და ბ-ნი ტერდასთიანი. ბიესას სრულებით არ ეტყობოდა რეჟისორის ხელი, ასე წარმოიდგინეთ, ფანჯრებიც არ იყვნენ თავ-თავიანთ ადგილას. მაგალითად: სოლომონმა (ავალიანმა) ფარდა ახალა ფანჯარას იმ განზრახვით, რომ სინათლე შემოსულ იყო, მაგრამ ფანჯრის მაგიერ რალაც თალი გამოჩნდა და კიდევ ბეერს მაგისტანა კურიოზებს შეხედებოდა კაცი იმ საღამოს. ბ-ნი ადამიანი ედმონდ კინის როლს ხელოვნურად ასრულებდა, ხოლო უკანასკნელი მოქმედება მეტად ჭარბათ მოუვიდა: ის შთაბეჭდილება ვერ მოახდენა, რომელსაც მოკვლოდით. ეს ფიასკო იმ გარემოებით აიხსნება, რომ ბ-ნი ადამიანი ცდილობს ედმონდ კინი გიჟად გამოიყვანოს იმის მიხედვით, რომ სოლომონი აცხადებს: კინი ჭკვავედ შეიშალაო. ეს შეცდომაა ბ-ნი ადამიანის მხრით, ედმონდ კინი ალ. დიუმას პიესაში სრულებით არ გიჟდება, არამედ ბრახდება თავის დაეიწყებამდე — ყველას უნდა მოეხსენებოდეს, და მით უფრო ბ-ნს ადამიანს, რომ გაბრაზება და ჭკუაზედ შემლა ერთი და იგივე არ არის....

საკვირველი ის არის, რომ სომხური საზოგადოება სრულებით არ ესწრება წარმოდგენებს და წარსულს ორშაბათს მთელი თეატრი თითქმის ცარიელი იყო. ეს გარემოება ჩვენ ვერას გზით ვერ აგვისანია, მით უფრო რომ სომხურს საზოგადოებაში ერთი ათად შემძლებულნიც და ფულეზიანიც არიან ვიდრე ჩვენში.

ხელ წარმოდგენილ იქნება დრამა: „მსხვერპლისთვის მსხვერპლი“.

გალიკო—ი

პრიუიკა და გიგლიოზკაშია

ორიოდე სიტყვა „ივარიის“ რეპუზნანტის მიხარით.

ყოველს უბრალო მომაკვდავს მოეთხოვება ცოდნა იმ საგნისა, რომელზედაც იგი სჯას აპირობს, რაზედაც ბაასობს და ლაპარაკობს. ეს უსუსური ჭეშმარიტება ბავშვებსაც უნდა ესმოდესთ და მით უფრო შეგნებული უნდა ჰქონდეს იმას, რომელიც ლიტერატურობას ლამობს და თავ-



ვის უმეცრების ნაყოფით ავსებს გაზეთის სვეტებს და უცხო კრიტიკულ მსჯელობის ნიმუშად ასაღებს მკითხველ საზოგადოებაში. — დიად, უთუოდ უნდა იცოდეს და შეგნებულად ჰქონდეს, თორემ ამის გარეშე ყოველი სჯა, ყოველი ბასი, ყოველი კრიტიკული განხილვა ავად-მყოფის ბოდვას წაგვანება, გვიხსნის ლოდიკას ეღარება. ეს ერთი. მეორე: — ყოველი კაცი უთუოდ მართებული უნდა იყოს: ყოველს მის განზრახვას, სურვილს, შენიშვნას სარჩულად აუცილებლად სიფაქიზე, სიწმინდე, კეთილსინიდიანიობა უნდა ედგას, ეს მითუმეტესად მოეთხოვება ლიტერატორს, გაზეთის თუ ჟურნალის თანამშრომელს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ლიტერატორს შარლატანი ეწოდების, უმართებულო ჯღაბნა დაერქმევის. დიად, ყველა ეს ასე არის და ასეც უნდა იყოს. მაგრამ ხანდისხან, როდესაც პირველი და მეორე გარემოება, ე. ი. უცოდნელობა და პირადობა, უმეცრება და უმართებულობა ერთად მოიყრიან თავს, როდესაც ერთი-მეორეს ხელი-ხელ გაყრილი დაიწყებენ ნაფარობას, თუნდაც ისეთს დინჯის და ჭკუა-დამჯდარის გაზეთის ფურცლებზე, როგორც არის „ივერია“, მაშინ უბრალო მომკვდავს ვალად ედება ხმა ამოიღოს ამ გვარ ლიტერატორის ასალაგმებლად, პირ-ახეულის კრიტიკოსის პირ-ასახვევად და ჩვენც მხოლოდ ამიტომ ვიღებთ ხმას.

დავიწყეთ ფაქტებიდან. „ივერიის“ 215 №-ში დაბეჭდილია რეცენზია ქართულ წარმოდგენაზე, რომელიც გამართულ იყო წარსულს კვირას. ბ-ნი უცნობი რეცენზენტი (რადგან წერილს სახელი არ აწერია, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეცენზია რედაქციის ერთ-ერთს ბურჯს ეკუთვნის) რაღაც სასაცილო ავტორიტეტით მთელს გაზეთის ორ სვეტში იმას მოგვითხრობს, თუ რა არის ორიგინალური პიესა, რა სარგებლობა და მნიშვნელობა აქვს შედარებით თარგმნილ პიესებთან და სხვა. ან მთვრალი უნდა იყოს კაცი, ან სრულებით გამოყვეჩებული, რომ მთელი ერთი საათი იმაზე ილაპარაკოს: ორიგინალური პიესების დადგმა სჯობია ნათარგმნი პიესების წარმოდგენასო!...

ნეტა ეიცოდეთ, სად ეგულება ბ-ნს „ივერიის“ რეცენზენტს ისეთი გულ-უბრყველო მკითხველი, რომელსაც არ ესმოდეს ორიგინალურის პიესების მნიშვნელობა? მაგრამ ჩვენ ის ვსთქვით, რომ როდესაც ბავშვისწავლის ხუთ-ჯერ-ხუთი რამდენია, მაშინ თავის თავი არხიმედით მიაჩნია, და ბ-ნს „ივერიის“ რეცენზენტს თავის ჭკვაში, ზემოყვანილის მსჯელობით, ამერიკა ხელ-ახლად აღმოუჩენია. —

„ბედნიერი დღე“ თვით რუსებსაც არ მოსწონთ, თუმცა ორის დრამატურდის ასტროლოგისა და სოლოკიონის სახელიც აწერიაო. ჩვენ არ ვიცით სად, ან რომელი წყაროებიდან ამოიკითხა ბ-ნ რეცენზენტმა ასეთი დასკვნა, ხოლო ეს ჭეშმარიტია, რომ ბ-ნ რეცენზენტმა იმდენად იცის რუსების თეატრის და დრამატიულ ხელოვნების ისტორია, რაოდენად ცაგარელის აკოვამ საპოლიტიკო ეკონომია. ასეთი ტყუილი, როგორც ბ-ნ რეცენზენტმა გამააცხრა, ამ ჩვენ „სიცრუის დროშიაც“ იშვიათი მოვლენაა. „ბედნიერი დღე“ რუსულ რეპერტუარში ერთ უკეთეს პიესად ითვლება და 1876 წლიდან მოყოლებული დღევანდლამდე არც ერთს სცენას არ მობეზრებია და ესეც რომ არ იყოს, აი რას ამბობს თვითონ ბ-ნი რეცენზენტი იმავე „ივერიის“ 22 №-ში „ბედნიერი დღე მხარული პიესა და მსუფრულები ბეჭდვით აცნის; პიესას დიდი ნაჯღუფუკანება ახა აქვს, ესეც კარგია რომ კაცს სადი და მსათალი სიცილი მოჭგავოს“. ამას ბ-ნი რეცენზენტი ამბობდა 29 იანვარს ამ წლისას და 7 ღვინობისთვის კი სულ სხვა კილოზე ქიკვიობს. რა მიზეზია? უთუოდ ისა, რომ ეხლა მეტის მეტად ძალა დაუტანებია ჭკვისათვის.

შემდეგ ბ-ნი „ივერიის“ რეცენზენტი ბრძანებს, ქართულ დასს ნათარგმნი პიესების თამაშობა არ შეუძლიანო. ამის მთქმელი უეჭველია ქართულ წარმოდგენებს სრულებით არ დასწრებია. თუ ბ-ნი რეცენზენტი ამის წინააღმდეგ კრინტსაც დასძრავს, ჩვენ ვეცდებით ფაქტებით დავარწმუნოთ იგი. ეს კიდევ არაა უფრო: ბ-ნი რეცენზენტი თან-და-თან უფრო ჰტოპავს სიცრუის და პირადობის მორევი და აი რასა ბრძანებს თვითონ პიესის თამაშობაზე: „განსჭგავსა და პასუხად ბრძანებს, არაო. ამას ამბობს ის კაცი, რომელიც იანვარში ისევე „ივერიის“ 22 №-ში სწერს გაზეთ-ცაგარელისაზე. „მშვენიერი იყო ზომიერების ცოლის წაღწევა ნ. გაბუნას ქალი“. ნეტა რას მოასწავებს ასეთი ასკინკილობა ბ-ნი რეცენზენტის მხრივ? უთუოდ იმას რომ იანვარში ბ-ნი რეცენზენტის ფულურო ლოდიკაში ზენა ქარი ჰბერაედა და ღვინობისთვის კი ქვენა ქარი!... შემდეგ: „ახა აქვე ამის მაგიერ ქართულად თავი დაკუნა და შავს წამოსასმელში გამოსულიყო, მაშინვე ისევე ამ სახუმარს წარმოადგენდით, რომელიც წარსულს კვირას ნახეთა, აუსუს ლოდიკავ! მართალია, ბ-ნო „ივერიის“ რეცენზენტო, თქვენ ბევრი რამ შეგიძლიანთ წარმოადგინოთ და ეს სრულს თქვენს უფლებებაშია და ასეც იქცევით კიდევაც, ხოლო გარწმუნებთ, თუ წარმოდგენა ასეთი შეურყვევლი საბუთია

ეროვნული
ლიტერატურის

სინამდვილისა, მაშინ ნეტარ ხსენებული გოგოლის აქსენტი ივანის პოპრიშინი მართალი ყოფილა, რადგან თავის თავი ესპანიის მეფედ ჰქონდა წარმოდგენილი, სწორედ ისე, როგორც თქვენ თქვენი თავი რეცენზენტად წარმოდგენიათ. რა განსხვავებაა თქვენს და პოპრიშინის შორის? მხოლოდ ისა, რომ პოპრიშინი ხალათით გიყვების, „სრა სასახლეში“ დასვირნობდა, — თქვენ კი, ივერიის რედაქციაში დაგიმკვიდრებიათ ბინა და მის ფურცლებზე წავარდობთ. — თუ მართლა ბ-ნო „ივერიის“ რეცენზენტო, თქვენმა წარმოდგენამ „ფორტმეისტერის ცოლის“ მაგიერ „ხანუმა“ წარმოგიდგინათ, მაშინ აი რას გირჩევთ: როდესაც ფორთოხალის ჭამა მოგინდეთ, კართოფილი ლეჭეთ და თან ლიმონს უსუნეთ... წარმოდგენს კი თავისას იმოქმედებს და ფორთოხალის გემოს მოგაგონებთ!... სამწუხარო და დიანაც სამწუხაროა თქვენი წარმოდგენის სიფიცხლე!

ერთი კურიოზი კიდევ და მოერჩებით კიდევაც. თქვენ ბ-ნო რეცენზენტო, ბრძანებთ: „მესხიკის ჯერ ერთი ნამდვილი ექიმის სახე გაკვეთებისა“ კეთილ ინებეთ ბ-ნო რეცენზენტო, და აგვიხსენით ჩვენ, უბრალო მომაცდლათ, რა არის, ან რას ნიშნავს ეს კლასიკური ფრაზა: ნამდვილი ექიმის სახე? განა ექიმებს სხვა რამე, არა ჩვეულებრივი, განსაკუთრებული სახე აქვთ, და თუ მართლა აქვთ, სად მოიპოვებიან ის ექიმები! რომელ სახელმწიფოში არიან, რომელ ქვეყანაში?... უეჭველია ესეც თქვენი წარმოდგენის ბრალია; უთუოდ თვენი ფიცხე წარმოდგენს წარმოგიდგენდათ ნამდვილ ექიმის სახეს!....

ბ-ნო «ივერიის» რეცენზენტო, სხვა რომ არა იყოს — რა სირცხვილია! ტყუილი კი არ უთქვამს ე.კუროჩკინს ერთს თავის ლექსში, რომელსაც თქვენ გიძღვნით, ბ-ნო რეცენზენტო:

Другъ мой, вотъ, тебѣ совѣтъ:
Если хочешь жить на свѣтѣ,—
Свѣжимъ воздухомъ дыши
Безъ особенныхъ претензій;
Если глушь, такъ не пиши,
А особенно *рецензій!*...

ვალერი — ა.

+ მოსწრებული სიტყვები

გურული გლეხი მეგრელმა კანშიად დაჰპატიჟა. კანშიადის დროს რაღაცაზე შედაჯდნ. მეგრელმა თავის სიმბრთლის დასამტკიცებლად ხელი დაადგა ღამს, რომელიც გაურეცხელი ყოფილიყო და შავი ფერი ჰქონდა, და სთქვა.

— შარტენი, ამის მადლი ნუ გამიწერება ასეა, როგორც გეუბნები!

— რის მადლს ჰფიცდები? ჰკითხს სტუმარმა.

— ამ დომისას, შარტენი.

— ღეღუ და თუ მასე გეფიცებოდა, ერთს ხეი-რანად გაურეცხდი მაინც!..

ქუთაისის ბანკის კენჭის ყრის დროს მოგესვენებათ, ყოველთვის გაცხარებული შარტიობაა. თ-დი სვიმონ გუგუნავა, ახალი ჯვარ დაწერილი ერთ-ერთ კანდიდატის ნათესავ ქალზედ, წინააღმდეგს დასს ეგუთნოდა. ბათუმის სასტუმროში ვიღაცამ შემდეგის სიტყვით მიჰმართა პატივცემულს თავადს: — უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ვგონებ უაღბობთ სვიმონ: გუშინ ანტონის და შეერთეთ და ჩვენ გარკად ვიცით ანტონის აზრი?

— დალოცვილო, მიუგო სვიმონმა, მე ანტონის დაი შევირთე, თვარა აზრი კი არ შემიერთავს!

ჴ.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ვასწავლი ფრანგულს ენას ქართულის საშუალებით. საკლასო რეპეტიციონებსაც ავიღებ.

პეტრე მირიანაშვილი
ადრესი „თეატრის“ რედაქციონში.